KARR0148611315922

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/26 **28 / სექტემბერი / 2022 წ.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე N11 არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მომიჯნავე ლანდშაფტური ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 591 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე № 11 არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მომიჯნავე ლანდშაფტური ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია“ (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე